

სპარსული ენის გზარითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები

(მიღებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის
2 აგვისტოს სხდომაზე)

სპარსული	IPA საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	საერთაშორისო ირანული ტრანსკრიფცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
ب	b	b	ბ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: باديا - bærdjɔ: - ბარდია بابا - ba:bæx - ბაბაქ-ი بهنوش - bɛhnu:ʃ - ბეჰნუშ-ი ابراهيم - ɛbro:hi:m - ებრაჰიმ-ი سهراب - sohrɔ:b - სოჰრაბ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: بوشهر - bu:ʃɛhr - ბუშეჰრ-ი بم - ba:m - ბამ-ი اردبیل - ærdæbi:l - არდაბილ-ი تبریز - tæbri:z - თაბრიზ-ი بندرعباس - bændaeræbbɔ:s - ბანდარაბას-ი (بندر - bændaer სპარსულში ნავსად- გურს, პორტს ნიშნავს, بندرعباس - bændaeræbbɔ:s სიტყვასიტყვით: აბასის პორტი).</p>	<p>ტრადიციით: თავრიზ-ი. გვარი გადმოვა როგორც თაბრიზი.</p>
پ	p	p	ფ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: پارسپور - pa:rsi:pu:r - ფარსიფურ-ი پیمان - pejma:n - ფეიმან-ი پونه - pu:nɛ - ფუნე سپیده - sepi:dɛ - სეფიდე</p> <p>გეოგრაფიული სახელები: هاپ - pa:vɛ - ფავე استخرپشت - ɛstæxrɛ poʃt - ესთახრე ფოშთ-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
მ	m	m	მ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: مَحْمَدٌ - mohæmmæd - მოჰამად-ი مَحْمُودٌ - mæhmu:d - მაჰმუდ-ი إِلْهَامٌ - ɛlhɑ:m - ელჰამ-ი شَمْسٌ - ʃæms - შამს-ი جَمَشِيدٌ - jæmʃi:d - ჯამშიდ-ი</p> <p>ორკომპონენტიან პირთა სახელებ- ში კომპონენტებს შორის დეფისის გამოყენებისას ანგარიში გაეწიოს ლათინურ დანერელობას. მაგალითად: اميرمَحْمَدٌ - æmi:rmohæmmæd - ამირ(-)მოჰამად-ი مَحْمَدٌرِضَا - mohæmmædrɛzɑ: - მოჰამად(-)რეზა</p> <p>ფრჩხილებში ჩასმული დეფისი მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში შეიძლე- ბა ასე შეგვხვდეს.</p> <p>გეოგრაფიული სახელები: هَمْدَانٌ - hæmædɑ:n - ჰამადან-ი // ჰამედან-ი دَامَانٌ - dæmɑ:vænd - დამავანდ-ი سَمِنَانٌ - sɛmnɑ:n - სემნან-ი</p>	<p>ტრადიციით: მუჰამად-ი, მუჰამედ-ი, მაჰმად-ი ტრადიციით: ალა-მაჰმად- ხან-ი და არა: აყა-მოჰა- მად-ხან-ი</p>
و	v	v	ვ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: وَالِيٌّ - væli:ollæh - ვალიოლაჰ-ი وَجِيحٌ - vædʒi:hɛ - ვაჯიჰე أَرْوِينٌ - ɑ: rvi:n - არვინ-ი أَرْغَوَانٌ - ærgɛvɑ:n - არყავან-ი دَاوُدٌ - dɑ:vu:d - დავუდ-ი وَحِيدٌ - væhi:di: - ვაჰიდი (ვაჰიდი-მ) رَوَانِي پُور - rævɑ:ni:pu:r - რავანიფურ-ი خُوسِرَوِي - xosrævi: - ხოსრავი (ხოსრა- ვი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: وَارَمِينٌ - vɑ:ræmi:n - ვარამინ-ი دَامَانٌ - dæmɑ:vænd - დამავანდ-ი سَابِزِوَارٌ - sæbzɛvɑ:r - საბზევარ-ი گونباده کوس - gonbædɛ kɑ:v u:s - გონბადე ქავუს-ი</p>	<p>ტრადიციით: არღავან-ი (ქართულში შემოსულია როგორც ფიტონიმი)</p>

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
و	u:	û	უ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: اورمزد - u:rmozd - ურმოზდ-ი نيلوفر - ni:lu:fær - ნილუფარ-ი داود - do:vu:d - დავუდ-ი آرزو - a:ræzu: - არეზუ بيهنوش - behnu:ʃ - ბეჰნუმ-ი آهو - a:hu: - აჰუ انوشه - a:nu:ʃe - ანუმე روحاني - ru:hɑ:ni: - რუჰანი (რუჰანი-მ) محمودىفەر - mæhmu:di:fær - მაჰმუდიფარ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: اورميه - u:ru:mi:je - ურმიე // اروميه - oru:mi:je - ორუმიე اوجان - u:dʒɑ:n - უჯან-ი اوچداره - a:tʃdærre - უჩდარე نوشآباد - nu:ʃɑ:bɑ:d - ნუმაბად-ი سفيدرود - sefi:dru:d - სეფიდრუდ-ი گونبدکاووس - gonbædɛ ko:vu:s - გონბადე ქავუს-ი</p>	ტრადიციით: ურმია და არა: ორუმიე//ურ- მიე
و	o	o	ო	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: رويا - rojɑ: - როია كورش - ku:roʃ - ქუროშ-ი خورشيدپور - xorʃi:dpu:r - ხორშიდფურ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: اوجاکسر - odʒɑ:ksær - ოჯაკსარ-ი اورتاسو - orto:su: - ორთასუ خوی - xoi: - ხოი</p>	
و	ow	ou	ოუ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: اورنگ - owræng - ოურანგ-ი اوحد - owhæd - ოუჰად-ი کوکب - kowkæb - ქოუქაბ-ი روشن - rowʃæn - როუშან-ი خسرو - xosrow - ხოსროუ فردوسی - ferdowsi: - ფერდოუსი نيكگوهر - ni:kgowhær - ნიქგოუჰარ-ი دولتآبادى - dowlæto:bɑ:di: - დოულა- თაბადი (დოულათაბადი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: اوزان بالا - owzɑ:nɛ bɑ:lɑ: - ოუზანე ბალა فردوس - ferdowsi: - ფერდოუს-ი دولتآباد - dowlæto:bɑ:d - დოულათაბად-ი نوشهر - nowʃæhr - ნოუშაჰრ-ი</p>	ტრადიციით: ფერდოუსი (ირანელი პოეტი). თა- ნამედროვე ადამიანის იგივე გვარი გადმოვა როგორც - ფერდოუსი.

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ف	f	f	ფ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: فَرشيد - færʃi:d - ფარშიდ-ი افشين - æfʃi:n - აფშინ-ი اسفنديار - əsfændi:ɟɑ:r - ესფანდიარ-ი فاطمه - fɑ:təmə - ფათემე افسانه - æfʃɑ:nə - აფსანე ظريف - zæri:f - ზარიფ-ი اصفهاني - əsfæɦɑ:ni: - ესფაჰანი (ესფაჰანი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: اصفهان - əsfæɦɑ:n - ესფაჰან-ი فريدونشهر - fərejdu:nʃæhr - ფერეიდუნშაჰრ-ი زعفرانج - zæʔfæɑ:n:ɟə - ზაფარანიე فارس - fɑ:rs - ფარს-ი</p>	ტრადიციით: ისპაჰან-ი/ ისპაან-ი და არა: ესფაჰან-ი
د	d	d	დ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: داريوش - dɑ:rju:ʃ - დარიუშ-ი ديبا - di:bo: - დიბა مهرداد - məɦrɑ:d - მეჰრდად-ი مُجهد - modɟɑ:hɟəd - მოჯაჰედ-ი صديقه - sædi:ɟʊɟə - სადიყე ديلمقاني - di:lmæɟʊɑ:n i: - დილმაცანი (დილმაცანი-მ) دهباشي - dɛɦbɑ:ʃi: - დეჰბაში (დეჰბაში-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: ديلمقان - di:lmæɟʊɑ:n - დილმაცან-ი سيفيدرود - səpi:dru:d - სეფიდრუდ-ი زایندهرود - zɑ:ɟændɛru:d - ზაიანდერუდ-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ط ت	t	t	თ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: تَرَانَه - tæro:nɛ - თარანე اَرْتِيْن - ɔ:rti:n - ართინ-ი تَخْتِي - tæxti: - თახთი (თახთი-მ) طَا - tɔ:hɔ: - თაჰა سُلْطَانِي - soltɔ:ni: - სოლთანი (სოლთანი-მ) طَبَاطَبِي - tæbo:tæbo:ji: - თაბათაბაი (თაბათაბაი-მ) تَطْهِيْرِي - tæthi:ri: - თათჰირი (თათჰირი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: طَبْرِسْتَان/طَبْرِسْتَان - tæbæreʃtɔ:n - თაბარესთან-ი طَرْقَبَه - tɔrɣæbɛ - თორყაბე رُوبَاطَكْرِيْمِي - robbɔ:tkæri:mi: - რობათქარიმი-ი بُوْطَاهِيْرِي - bu:tɔ:hɛri: - ბუთაჰერი (ბუთაჰერი-მ) تَبْرِيْز - tæbri:z - თაბრიზ-ი تَوْنَهْكَاْبُون - tonɛkɔ:bon - თონექაბონ-ი شَوْرْتَهْطَه - ʃu:rtæpɛ - შურთაჰე</p>	<p>ისტორიული ტოპონიმი: ტაბარისტანი და არა: თაბარესთანი; გვარი გადმო- ვა როგორც თაბარესთანი (თაბარ- ესთანი-მ)</p>
ن	n	n	ნ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: نَادِر - no:dɛr - ნადერ-ი حَنَا - hæno: - ჰანა نَزَانِيْن - no:zæni:n - ნაზანი-ი بَهْرَنْگ - bɛhræng - ბეჰრანგ-ი نِيْكَاْم - ni:kno:m - ნიქნამ-ი اَمِيْنِيَان - æmi:ni:jɔ:n - ამინიან-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: سَمْنَان - sɛmnɔ:n - სემნან-ი نَجْفْآبَاد - nædʒæfɔ:bo:d - ნაჯაფაბად-ი سَاَنْدَجْ - sænændædʒ - სანანდაჯ-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ذ ض ظ	z	z	ზ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: اذر - d:zær - აზარ-ი كامبوزيا - ko:mbu:zi:jo: - ქამბუზია مهناز - mɛħno:z - მეჰნაზ-ი رَمْضَان - ræmæzo:n - რამაზან-ი كظم - ko:zɛm - ქაზემ-ი عَلِيْرَضَا - æli:rɛzɑ: - ალი(-)რეზა جمالزاده - dʒæmo:lzo:dɛ - ჯამალზადე حافظ - ho:fɛz - ჰაფეზ-ი نظامي - nɛzo:mi: - ნეზამი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: فتوین - fɛʔæzvi:n - ყაზვინ-ი دزفول - dɛzfu:l - დეზფულ-ი دَنْرَابَاد - næzæro:bɑ:d - ნაზარაბად-ი سرپُل دَهَاب - sæɾɛ polɛ zæħo:b - სარე ფოლე ზაჰაბ-ი</p>	<p>ტრადიცი- ით: ნიზამი (ნიზამი-მ) - ირანელი პოეტი. თა- ნამედროვე ადამიანის იგივე გვარი გადმოვა როგორც - ნეზამი (ნეზამი-მ).</p>
س ث ص	s	s	ს	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: سوريا - soræjjo: - სორაია تَهْمُوْرَث - tæħmu:ræ:s - თაჰმურას-ი سِيمِين - si:mi:n - სიმინ-ი ستاره - sɛtɑ:rɛ - სეთარე سُرُوش - soru:ʃ - სორუმ-ი حُوسَيْن - hosejn - ჰოსეინ-ი (ჰოსეინ-მა) حُوسَيْنِي - hosejni: - ჰოსეინი (ჰოსეინი-მ) صَادِقِي - so:dɛʔɛʔi: - სადეყი (სადეყი-მა) صَادِقِي - so:dɛʔɛʔi: - სადეყი (სადეყი-მ) مُصَدِّق - mosædɛʔɛʔi: - მოსადეყი- (მოსადეყი-მა) مُصَدِّقِي - mosædɛʔɛʔi: - მოსადეყი (მოსადეყი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: تَمْرَدَشْت - sæmærdæʃt - სამარდაშთ-ი سَرْخَس - sæɾæxs - სარახს-ი سِيْبَك - si:bæk - სიბაქ-ი صَنْدَلِي - sændæli: - სანდალი (სანდალი-მ) صَفَارُود - sæfo:ru:d - საფარუდ-ი</p>	<p>ტრადიციით: ჰუსეინ-ი</p>

სპარსული	IPA საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	საერთაშორისო ირანული ტრანსკრიფცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
ك			ლ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: لَيْلَا - lejla: - ლეილა سَالُومَةُ - sa:lu:mə - სალუმე عَلِي - æli: - ალი (ალი-მ) الْهَام - ɸlhɑ:m - ელჰამ-ი غُولِي - goli: - გოლი (გოლი-მ) الْأَهْيَارِي - ɑ:læhi:jɑ:ri: - ალაჰიარი (ალაჰიარი-მ) جَلَالُ الدِّين - dʒælo:l æddi:n - ჯალალ ად-დინ-ი رُكْنُ الدِّين - rokn æddi:n - როქნ ად-დინ-ი سُلْطَانُ الدَّكْرِين - solto:n æzzækeri:n - სოლთან აზ-ზაქერინ-ი عَبْدُ الرَّحْمَان - æbdorræhmɑ:n - აბდ ორ-რაჰმან-ი هَارُونُ الرَّشِيد - ho:ru:n ærræfi:d - ჰარუნ არ-რაშიდ-ი; قَوَامُ السَّلْطَنَةِ - ɸʕævo:m æssæltɑ:nə - ყავამ ას-სალთანე مَالِكُ الشَّعْرَا - mæleḳ æʃʃoæro: - მალექ აშ-შოარა أَمِينُ الضَّرْب - æmi:n æzzærb - ამინ აზ-ზარბ-ი أَبُو الْقَاسِم - æbo:lɸʕɑ:sɸm - აბოლყასემ-ი ذَوَالْقَرْنَيْن - zo:lɸʕærnæi:n - ზოლყარნეინ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: لَوْرَسْتَان - loɸsto:n - ლორესთან-ი لَنْجَرُود - længæru:d - ლანგარუდ-ი بَابِلْسَر - bo:bolsær - ბაბოლსარ-ი تَبَسُّ التَّمْرِ - tæbæs ottæmr - თაბას ოთ-თამრ-ი عَبْدُ السَّادَةِ - æbdossæde - აბდ ოს-სადე أَبُو الْوَفَاي - æbo:lʕæfo:i: - აბოლვაფაი (აბოლვაფაი-მ)</p>	<p>იხ. შენიშვნა №5, გვ.63.</p> <p>ტრადიციით: ლურისტანი-ი, ხოლო გვარი გადმოვა როგორც - ლორესთანი.</p>

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ر	r	r	რ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: رستم - rostæm - როსთამ-ი شهرزاد - ʃæhrzɑ:d - შაჰრზად-ი روشَنک - rowʃænæk - როუშანაკ-ი رامین - rɑ:mi:n - რამინ-ი روزبه - ru:zbəh - რუზბეჰ-ი پورنامداریان - pu:rno:mdɑ:ri:jɑ:n - ფურნამდარიან-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: رشت - ræʃt - რაშთ-ი رکن آباد - rokno:bɑ:d - როქნაბად-ი کرمان - kərmo:n - ქერმან-ი رامسر - rɑ:msæ - რამსარ-ი رودبار - ru:dbɑ:r - რუდბარ-ი</p>	
ج	dʒ	j	ჯ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: جعفری - dʒæʃæri: - ჯაფარ-ი جهانگیر - dʒæho:ngi:r - ჯაჰანგირ-ი خدیجه - xædi:dʒe - ხადიჯე جاویدنیا - dʒɑ:vi:dni:jɑ: - ჯაეიდნია</p> <p>გეოგრაფიული სახელები: جُلْفَا - dʒɔlfɑ - ჯოლფა جنت آباد - dʒænaetɑ:bɑ:d - ჯანათაბად-ი زَنجان - zændʒɑ:n - ზანჯან-ი کرج - kærædʒ - ქარაჯ-ი بُروجرد - boru:dʒerd - ბორუჯერდ-ი</p>	ტრადიციით: ჯულფა და არა: ჯოლფა
چ	tʃ	č	ჩ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: گلچهره - goltʃehre - გოლჩეჰრე چيستا - tʃi:stɑ: - ჩისტა چايچي - tʃɑ:ji:tʃi: - ჩაიჩი (ჩაიჩი-მ) چهره آزا - tʃehre:zɑ:d - ჩეჰრეაზად-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: چالوس - tʃɑ:lus - ჩალუს-ი چشمه چينار - tʃeʃme tʃenɑ:r - ჩეშმე ჩენარ-ი چهل چشمه - tʃehlʃeʃme - ჩეჰელჩეშმე بلوچستان - bælu:tʃestɑ:n - ბალუჩეს- თან-ი</p>	ტრადიციით: ბელუ- ჯისტან-ი , ხოლო გვარი გადმოვა როგორც – ბალუჩეს- თან-ი .

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ژ	ʒ	ǰ	ჟ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: اله‌ژ - ʒɑ:lɛ - ჟალე مُزَنگ - moʒɛn - მოჟგან-ი بِيژن - bi:ʒɛn - ბიჟან-ი آرژنگ - ærʒɛng - არჟანგ-ი أحمدی نیراد - æhmædi:nɛʒɑ:d - აჰმადინეჟად-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: ژانه‌جار - ʒɑ:nɛdʒɑ:r - ჟანეჯარ-ი ژریژبان - ʒæri:ʒbɑ:n - ჟარიჟბან-ი</p>	
ش	ʃ	š	შ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: شاهین - ʃɑ:hi:n - შაჰინ-ი شاهلا - ʃæhlo - შაჰლა شقایق - ʃæʃɑ:qɑ:ʃ - შაყაიყ-ი اردشیر - ærdæʃi:r - არდაშირ-ი هاشمی - hɑ:ʃɛmi - ჰაშემ-ი پریوش - pæri:vɔ:ʃ - ფარივაშ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: شاهرود - ʃɑ:hru:d - შაჰრუდ-ი شوشتر - ʃu:ʃtɛr - შუშთარ-ი شهرضا - ʃæhrɛʒɑ - შაჰრეზა شیمیران // شمیرانات - ʃɛmi:ro:n// ʃɛmi:ro:nɔ:t - შემირან-ი// შემირანათ-ი مشهد - mæʃhæd - მაშჰად-ი</p>	ტრადიციით: მეშჰედ-ი და არა: მაშჰად-ი
گ	g	g	გ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: گودرز - gu:dærz - გუდარზ-ი گیتی - gi:ti- გითი (გითი-მ) گولناز - goɪnɑ:z - გოლნაზ-ი گوهر - gowhær - გოუჰარ-ი گولشن - goɪʃɛn - გოლშან-ი نرگس - nærgɛs - ნარგეს-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: گیلان - gi:lɔ:n - გილან-ი هرمزگان - hormoʒɛɡɑ:n - ჰორმოზეგან-ი گولپایگان - goɪpɑ:ʒɛɡɑ:n - გოლფაეგან-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ک	k	k	ქ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: كامران - ka:mrɒ:n - ქამრან-ი كورش - ku:roʃ - ქუროშ-ი أكبر - ækbær - აქბარ-ი سکینه - sækini:ne - საქინე کاشانی - ka:ʃɒ:ni: - ქაშანი (ქაშანი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: کردستان - kordɛstɒ:n - ქორდესთან-ი کاشان - ka:ʃɒ:n - ქაშან-ი کارون - ka:ru:n - ქარუნ-ი کهریزک - kæhri:zæk - ქაჰრიზაქ-ი</p>	ტრადიციით: ქურთისტან-ი , ხოლო გვარი გადმოვა როგორც - ქორდეს- თანი.
غ	ɣ~G	q	ყ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: غلامعلي - ɣɣolɒ:mæli: - ყოლამალი (ყოლამალი-მ) غزال - ɣɣæzæɫ - ყაზალ-ი غونچه - ɣɣontʃe - ყონჩე فرغ - foru:ɣ - ფორუყ-ი بغبيدي - ba:ɣɣbi:di: - ბაყბიდი (ბაყბიდი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: غياثآباد - ɣɣi:ʃɒ:sɒ:ba:d - ყიასაბად-ი آغداغ - ɒ:ɣɣ do:ɣɣ - აყდაყ-ი مراغه - mæɾɒ:ɣɣe - მარაყე</p>	იხ. შენიშვნა №6, გვ.64.
خ	x	x	ხ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: شاهخ - ʃɒ:hrox - შაჰროხ-ი خدايش - xɒdɒ:bæxʃ - ხოდაბახში-ი خميني - xomejni: ხომეინი (ხომეინი-მ) خاتمی - xa:tæmi: - ხათამი (ხათამი-მ) خامنه‌ای - xa:menej - ხამენეი (ხამენეი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: الخال - xa:lxa:l - ხალხალ-ი خرمشهر - xorraemʃæhr - ხორამშაჰრ-ი خوزستان - xu:zɛstɒ:n - ხუზესთან-ი</p> <p>როდესაც ხ თანხმოვანს მოსდევს ვაჲ-ი (ვ - ɣ) და გრძელი ხმოვანი (آ -ა ან ى -ი), ვ არ იკითხება. მაგალითად: خوانسار - xa:nɒsɒ:r - ხანსარ-ი پل خواجه - polɛ xa:dʒɒ: - ფოლე ხაჯუ (ისტორიული ხიდი ისპაჰანში)</p>	<p>ტრადიციით: ხუზისტან-ი, ხოლო გვარი გადმოვა როგორც - ხუზესთანი.</p> <p>ტრადიციით: ხვარაზმ-ი// ხორეზმ-ი. გვარი გადმოვა როგორც - ხარაზმი.</p>

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ق	ḡ~ç	q	ყ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: قاسم - ḡçɑ:sɛm - ყასემ-ი وامق - vɑ:mɔḡç - ვამეყ-ი رُقيِه - roḡçi:jɛ - როყიე آفدس - æḡçdæs - აყდას-ი باقريان - bɑ:ḡçɛri:jɑ:n - ბაყერიან-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: قشم - ḡçɛʃm - ყეშმ-ი قُوم - ḡçom - ყომ-ი قُودس - ḡçods - ყოდს-ი قزوین - ḡçæzvi:n - ყაზვინ-ი طالقان - tɑ:lɔḡçɑ:n - თალეყან-ი</p>	ტრადიციით: ყუმ-ი. გვარი გად- მოვა რო- გორც ყომი.
ح	h	h	ჰ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: حامد - hɑ:mɛd - ჰამედ-ი حميد - hæmi:d - ჰამიდ-ი حُر - hor - ჰორ-ი حَوَا - hævɑ: - ჰავა ريحانه - rejhɑ:nɛ - რეიჰანე حاجي بنديِه - hɑ:dzi:bændɛ - ჰაჯიბანდე حَقَانِي - hæḡçɑ:ni: - ჰაყანი (ჰაყანი-მ) حيدري - hejdæri: - ჰეიდარი (ჰეიდარი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: حسين آباد - hosejno:bɑ:d - ჰოსეინაბად-ი حيدرآباد - hejdæro:bɑ:d - ჰეიდარაბად-ი گرجي محليه - gordzi:mæhæɛ - გორჯიმაჰალე سرحوضك - særhowzæk - სარჰოუზაქ-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ھ	h	h	ჰ	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: هُومَن - hu:mæn - ჰუმან-ი هُمًا - homo: - ჰომა مَهسا - mæhsɑ: - მაჰსა زَهرا - zæhrɑ: - ზაჰრა أناهِيتا - ɑ:nɑ:hi:tɑ: - ანაჰიტა هُوشَنگ - hu:ʃæng - ჰუშანგ-ი هَاشِمِي - hæ:ʃɛmi: - ჰაშემი - (ჰაშემი-მ) تِهْرانی - tɛhrɑ:nɪ: - თეჰრანი (თეჰრანი-მ) هدیه - hædi:jɛ//hɛdi:jɛ - ჰადიე // ჰედიე زُهره - zohrɛ - ზოჰრე هَوک - ho:vɛ - ჰავე</p> <p>გეოგრაფიული სახელები: هَمَدان - hæmædɑ:n/hæmɛdɑ:n - ჰამადან-ი // ჰამედან-ი اهواز - æhvɑ:z - აჰვაზ-ი هَشْتَرود - hæʃtru:d - ჰაშტორუდ-ი سیاه کوه - si:jɑ:hku:h - სიაჰკუჰ-ი تِهْران - tɛhrɑ:n - თეჰრან-ი ساره - sɑ:vɛ - სავე هَله - hɛlɛ - ჰელე</p>	<p>ტრადიციით: ანაჰიტა (წყლისა და ნაყოფიერ- ების ქალ- ღმერთი).</p> <p>ტრადიციით: თეირან-ი. გვარი გადმოვა როგორც - თეჰრანი.</p>
ع	ʔ	‘/- გად- მოიცემა ან ‘ ან - ნიშნით	ქარ- თულში არც ერთ პოზიცი- აში არ გად- მოიცე მა	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: عذرا - æzrɑ: - აზრა رَعا - ræʔnɑ: - რანა عَباس - æbbɑ:s - აბას-ი سَعِيد - sæi:d - საიდ-ი إسماعيل/اسمايل - ɛsmɑ:i:l - ესმაილ-ი عَرَبَنِيَا - æræbni:jɑ: - არაბნია عَلِيدوستي - æli:du:sti: - ალიდუსთი (ალიდუსთი-მ) بَدِيعی - bædi:i: - ბადიი (ბადიი-მ) عَسْكَرِي - æsgæri: - ასგარი (ასგარი-მ) عَمْرَة - omær - ომარ-ი عِمْران - ɛmrɑ:n - ემრან-ი عيسى - i:sɑ:- ისა عَصْمَت - ɛsmæt - ესმათ-ი عِفْت - ɛffæt - ეფათ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: عِرَاق - ɛræʔɛ/ærræʔɛ - ერაყ-ი عَرَبشاه خَرگوشان - ærræbʃɑ:hɛ xærgu:ʃɑ:n - არაბშაჰე ხარგუშან-ი عَجَبشیر - ædzæbʃi:r - აჯაბშირ-ი عُثمان کلا - osmænkælbɑ: - ოსმანქალა</p>	<p>ტრადიციით: ისმაილ-ი</p> <p>ტრადიციით: ასმათ-ი</p>

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ცვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
آ ا	ɒ: æ	ā ä	ა	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: آرش - ɒ:ræʃ - არაშ-ი نیما - ni:mɒ: - ნიმა سارا - særɒ: - სარა یلدا - jældɒ: - იალდა آموزگار - ɒ:mu:zɡɒ:r - ამუზგარ-ი جاهدجاه - dʒɒ:hɛddʒɒ:h - ჯაჰედჯაჰ-ი جاویدنیا - dʒɒ:vi:dni:jɒ: - ჯავიდნია آل احمد - ɒ:lɛ æhmæd - ალე აჰმად-ი اختر - æxtær - ახთარ-ი اشکبوس - æʃkbu:s - აშქბუს-ი مهسا - mæhsɒ: - მაჰსა نریمان - næri:mɒ:n - ნარიმან-ი تقی زاده - tæŋʁi:zɒ:dɛ - თაყიზადე ابریشمی - æbri:ʃæmi: - აბრიშამი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: آبادان - ɒ:bɒ:dɒ:n - აბადან-ი آلاداغ - ɒ:lɒ:dɒ:ŋ - ალადაყ-ი مازندران - mɒ:zændæɒ:n - მაზანდარან-ი الوند - ælvænd - ალვანდ-ი افوس - æfu:s - აფუს-ი</p>	
ای/ی	i:	î	ი	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: ایرج - i:rædʒ - ირაჯ-ი شیرازی - ʃi:rɒ:zi: - შირაზი (შირაზი-მ) أمید - ɒmi:d - ომიდ-ი علی - æli: - ალი (ალი-მ) زری - zæri: - ზარი (ზარი-მ) ایلخانی - i:lɒ:ni: - ილხანი أسکوی - ɒsku:ji: - ოსქუი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: ایران - i:rɒ:n - ირან-ი ایلام - i:lɒ:m - ილამ-ი ایزدشهر - i:zædʃæhr - იზადშაჰრ-ი شیراز - ʃi:rɒ:z - შირაზ-ი کیش - ki:ʃ - ქიშ-ი</p>	
ی	j	y	ი	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: یاسین - jɒ:si:n - იასინ-ი یگانه - jɛ ɡɒ:nɛ - იეგანე داریوش - dɒ:rju:ʃ - დარიუმ-ი پریا - pæri:jɒ: - ფარია پارشاٹر - jɒ:rʃæʦɛr - იარშათერ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: یزد - jæzd - იაზდ-ი غیاث آباد - ŋʁi:jɒ:sɒ:bɒ:d - ყიასაბად-ი</p>	

სპარ- სული	IPA საერთაშორ- ისო ფონეტი- კური ანბანი	საერთაშო- რისო ირან- ული ტრან- სკრიფცია	ქართუ- ლი შესა- ტყვისი	მაგალითები	გამონაკ- ლისები
ى	ej	ei	ეი	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: زینب - zejɪæb - ზეინაბ-ი يلقيس - beɫɣejs - ბელყეის-ი شِيرُو - ʃobejru: - შობეირუ خيرانديش - xejraendi:ʃ - ხეირანდიშ-ი كِيوانفر - kejvɑ:nfær - ქეივანფარ-ი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: سيف آباد - seɟfɑ:bɑ:d - სეიფაბად-ი نیشابور - neɟʃɑ:bʊ:r - ნეიშაბურ-ი بيت موسى - beɟtmu:sɑ:- ბეითმუსა</p>	<p>ტრადიციით: ნიშაბურ-ი. გვარი გადმო- ვა როგორც - ნეიშაბური.</p>
ى	ɒ:	ǎ	ა	<p>არაბული წარმოშობის ზოგიერთ სახელში სიტყვის ბოლოს იკითხება, როგორც ა: عيسى - i:sɑ: - ისა (=იესო) موسى - mu:sɑ: - მუსა (=მოსე) يحيى - jæhɟɑ: - იაჰია مُجْتَبى - modʒtæbɑ: - მოჯტაბა مُرتضى - mortɟɑ: - მორტეზა مُصطفى - mostæfɑ: - მოსთაფა (შდრ. მუსტაფა) طوبى - tu:bɑ: - თუბა كوبرى - kobrɑ: - ქობრა سُغرى - soɟɣrɑ: - სოღრა سَلْمى - sælmo: - სალმა</p>	
و	o		ო	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: أَمِيد - omi:d - ომიდ-ი عُمَر - omæɾ - ომარ-ი دُرسا - dorsɑ: - დორსა گولمَرِيَم - goɫmæɾjæm - გოლემარია-ი مُنِيرُو - moni:ru: - მონირუ مُديري - modi:ri: - მოდირი (მოდირი-მ) أَسْكُوِي - osku:ji: - ოსქუი گولستاني - goɫɟsto:ni: - გოლესტანი</p> <p>გეოგრაფიული სახელები: أروميه - oru:mi:ɟe - ორუმეიე // اورميه ا:رميه - ურმეიე أردب - ordi:b - ორდიბ-ი أَمَل - ɑ:mol - ამოლ-ი البرز - ælborz - ალბორზ-ი گولستان - goɫɟsto:n - გოლესტან-ი</p>	<p>ტრადიციით: იალზუზ-ი. ტრადიციით: გულესტან-ი, მაგრამ გვარი გადმოვა რო- გორც - გო- ლესტანი.</p>

სპარსული	IPA საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	საერთაშორისო ირანული ტრანსკრიფცია	ქართული შესატყვისი	მაგალითები	გამონაკლისები
-	ɛ	e	ე	<p>ანთროპონიმები და პატრონიმები: اِهْم - ɛlhɑ:m - ელჰამ-ი مِهْرَاد - mɛhrɑ:d - მეჰრად-ი بَهْزَاد - bɛhzɑ:d - ბეჰზად-ი شَقَائِقِ - ʃæʕʕɑ:ɛjɕʕ - შაყაიეყ-ი هَزَّاهُ - hɑ:ɛzɛ - ფაეზე مَنِئِيهْ - mæni:zɛ - მანიეჟე كَوَهْ - kɑ:vɛ - ქავე اِبْرَاهِيمِزَاد - ɛbro:hi:mzɑ:dɛ - ებრაჰიმზადე عِرْفَانِي - ɛrfɑ:ni: - ერფანი (ერფანი-მ)</p> <p>გეოგრაფიული სახელები: اِمَامْآبَاد - ɛmæmɑ:bɑ:d - ემამაბად-ი اَشْكَانَد - ɛʃkɑ:vænd - ეშქავანდ-ი بَرْهَنْدِجِي - bɛrɛndʒi: - ბერენჯი سَابَزَوَار - sæbzɛvɑ:r - საბზევარ-ი بَهْشَهْر - bɛhʃæhr - ბეჰშაჰრ-ი سَاوَهْ - sɑ:vɛ - სავე</p>	

1. სპარსული ენის თანხმოვანი ბგერების ტრანსლიტერაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სიტყვაში მათ პოზიციაზე არ არის დამოკიდებული.

2. პოზიციური ცვლილება ახასიათებს ت - t-ს: **سْت** st ბგერათკომპლექსში ت - t ქართულში გადმოდის ტ-დ, რაც დღემდე ასახულია რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებებში: თაბარისტან-ი/ტაბარისტან-ი, ბელუჯისტან-ი, ლურისტან-ი, ხუზისტან-ი და ა.შ.

3. როდესაც خ - x თანხმოვანს მოსდევს و - v და ე.წ. გრძელი ხმოვანი (Ī/ā/ā ან ī/i:/i), ასეთ შემთხვევაში و - v არ იკითხება და ეს ბგერათკომპლექსი ქართულშიც ვ-ს გარეშე გადმოდის.

მაგალითად:

خوانسار - xɑ:nso:r - ხანსარ-ი (გეოგრ.);

خواجوكرمانی - xɑ:dzu:kɛrmo:ni: - ხაჯუ ქერმანი (ირანელი პოეტი).

4. ه - ჰაიჰავაზი (ე.წ. მუნჯი ჰ) სიტყვის ბოლოკიდურა პოზიციაში (აუსლაუტში) გრძელი ხმოვნების (ა, უ, ი) შემდეგ რჩება, ხოლო ე ხმოვნის შემდეგ არ გადმოიცემა:

هَزْهْ - zohɛ - ზოჰრე (ანთროპ.)

سَاوَهْ - sɑ:vɛ - სავე (გეოგრ.).

არის გამონაკლისები, მაგალითად: هَزْهْ - ru:zbɛh - რუზბეჰ-ი.

5. ط, ت - t - თ; ث, س, ص - s - ს; د - d - დ; ز, ظ, ذ - z - ზ; ر - r - რ; ش - ʃ - შ; ل - l - ლ; ن - n - ნ ამ თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვებში, რომელთაც არაბული განსაზღვრული არტიკლი **ალ (ل)** უძღვის წინ, ხდება არტიკლის **ლ** თანხმოვნის სრული ასიმილაცია და ორმაგდება მისი მომდევნო თანხმოვანი.

ამ თანხმოვნების გამოყენების მაგალითებია:

رُكْنُ الدِينِ - rokn æddi:n - როქნ ად-დინ-ი (მაგრამ ისტორიულად: რუქნადინი);

رُومِي الدِينِ جلال - dzælæ æddi:n ru:mi: - ჯალალ ად-დინ რუმი (მაგრამ ტრადიციით: ჯალალ ედ-დინ რუმი - დიდი სპარსელი სუფი პოეტი);

هَارُونُ الرَّشِيدِ - hɑ:ru:n ærræfi:d - ჰარუნ არ-რაშიდ-ი.

თუ წინამავალი სიტყვა ხმოვნით ბოლოვდება, **ალ (ل)** არტიკლის ხმოვანი მუნჯდება და არ

გამოითქმის. ამასთან, არტიკლიანი სიტყვა ერწყმის წინამავალ სიტყვას და ერთად გადმოიცემა.

მაგალითად:

أبوالقاسم - æboɣʷɔ:sɛm - აბოლყასემ-ი (ანთროპ.);

أبو الفضل - æboɫfæzl - აბოლფაზლ-ი (ანთროპ.);

أبو الفأر - zɔɫfæɣʷæɾ - ზოლფაყარ-ი (ანთროპ.);

أبو القدر - zɔɫɣʷædæɾ - ზოლყადარ-ი (ანთროპ.);

أبو الحسن كلا - æboɫhæssæn kælɔ: - აბოლჰასან ქალა (გეოგრ.);

أبو الوفا - æboɫwæfɔ:ʤi: - აბოლვაფაი (გეოგრ.).

ალ (Al) არტიკლის მომდევნო სიტყვისგან დეფისით გამოყოფის საკითხი უნდა გადაწყდეს შუალედური (ლათინური) ტრანსლიტერაციის გათვალისწინებით.

6. სპარსულ ენაში **ყ** და **ლ** არის ერთი ფონემის - **ყ**-ს ალოფონები. ტრადიციულად იგი ქართულში **ლ** თანხმოვნით გადმოიცემოდა, მაგრამ თანამედროვე სპარსულიდან სიტყვები, მათ შორის, საკუთარი სახელები უნდა გადმოიცეს **ყ** თანხმოვნით.

მაგალითად:

فورق - foru:ɣʷ - ფორუყ-ი (ანთროპ.)

مراغه - mæɾɔ:ɣʷɣ - მარაყე (გეოგრ.).

7. სპარსულში პოპულარულია არაბული წარმოშობის სახელები, კომპოზიტები, რომელთა მეორე წევრია **الله** (ალლაჰ). ასეთივე წარმოების არის ქართულში დამკვიდრებული **აბდულა**, **აიათოლა**. ასეთი სახელები უნდა გადმოიცეს ბოლოკიდურა ჰ-ს (**ჰ**) შენარჩუნებით.

მაგალითად:

استاد الله - æsædɔllæh - ასადოლაჰ-ი;

عنایت الله - ɛnɔ:ʤæɫɔllæh - ენაიათოლაჰ-ი;

فدرة الله - ɣʷɔdrætɔllæh - ყოდრათოლაჰ-ი;

عطاء الله - ætæɔllæh - ათაოლაჰ-ი.

8. სპარსულში გვარის დაბოლოების გავრცელებული სახეებია:

8.1. ფურ (پور) - كيمي پور - ki:mi:ʤɔ:ʤi:pu:r - ქიმიიფურ-ი; پوران - nɔ:dɛɾpu:r - ნადერფურ-ი;

8.2. ზადე (زاد) - حسن زاد - hæssænzɔ:dɛ - ჰასანზადე; محمد زاد - mohæmmædzɔ:dɛ - მოჰამადზადე; زاد واعظ - væɣzɔ:dɛ - ვაეზზადე;

8.3. იან (يان) - درويشيان - dæɾvi:ʤi:ʤɔ:n - დარვიშიან-ი; رضاي - rɛzɔ:ʤɔ:n - რეზაიან-ი;

8.4. ქია (كيا) - كياتي - ho:to:mi:ki:ʤɔ: - ჰათამიქია;

8.5. ნია (نيا) - نيسين - hosejnni:ʤɔ: - ჰოსეინნია;

8.6. ნეჟად - نژاد - æhmædi:nɛʤɔ:d - აჰმადინეჟად-ი.

8.7. პირთა და გეოგრაფიულ სახელებზე დართული **ი** (-ი) სუფიქსი:

نيسين - hosejnni: - ჰოსეინი (< ანთროპ. **ჰოსეინ**-ი);

احمدى - æhmædi: - აჰმადი (< ანთროპ. **აჰმად**-ი);

شيرازى - ʃi:ɾɔ:zi: - შირაზი (< გეოგრ. **ქ.შირაზ**-ი);

رودارى - ru:dso:ri: - რუდსარი (< გეოგრ. **ქ.რუდსარ**-ი).

ასეთ შემთხვევებში როგორც თხზული, ისე წარმოქმნილი პატრონიმის დაბოლოება დეფისის გარეშე, შერწყმულად დაინერება.

9. ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ორი ან მეტი ნაწილისგან შედგება. ამ დასახელებების ერთ ნაწილში შენარჩუნებულია მსაზღვრელ-საზღვრულის (იზაფეთური) კონსტრუქცია. იზაფეთი ხშირად გრაფიკულად არ არის გამოხატული. ეს მარკერი გამოიხატება **e/ე**-თი (თანხმოვნის შემდეგ) ან **ye/ე** -თი (ხმოვნის შემდეგ). ქართულში ასეთ სახელებს იზაფეთის მარკერი უნდა შეუნარჩუნდეს, თუმცა ცალკე არ უნდა გამოიყოს, არამედ დაინეროს იმ სიტყვასთან შერწყმულად, რომელსაც უშუალოდ მოსდევს.

მაგალითად:

خراسان رضوى - xɔɾɔ:so:nɛ ɾæzævi: - ხორასანე რაზავი;

حاجى آباد عزبها - ho:ʤi:ɔ:bo:dɛ æɾæbhɔ: - ჰაჯიაბადე არაბჰა;

دشت کویر - dæʃtɛ kævi:r - დაშთე ქავირ-ი.

10. ზოგიერთი შედგენილი გეოგრაფიული სახელის ნაწილები ერთმანეთს „და“ (ა - ვა) კავშირით უერთდება. თუკი ეს ნაწილები ერთგვარი წარმოებისაა, მაშინ ქართულად ტრანსლიტერირებისას მათ შორის დეფისი უნდა დაისვას.

მაგალითად:

سیستان و بلوچستان - si:stɔ:n væ bælu:tʃɛstɔ:n - სისტან-ბელუჯისტან-ი (პროვინცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ირანში);

ხოლო, თუკი ტოპონიმის შემადგენელი ნაწილები არაერთგვაროვანი წარმოებისაა, მაშინ კავშირი ქართულად უნდა ითარგმნოს.

მაგალითად:

فخرآباد و بخارا - tʃæho:rmæho:l væ bæxti:jo:ri: - ჩაჰარმაჰალ-ი და ბახტიარი (პროვინცია ირანის სამხრეთ-დასავლეთში);

کوهگیلویه و بویراحمد - kohgi:lu:jɛ væ buju:ræhmæd - ქოჭგილუიე და ბუიურაჰმად-ი (პროვინცია ირანის სამხრეთ-დასავლეთში).

11. შედგენილ გეოგრაფიულ სახელებში, რომლებშიც ერთ-ერთი წევრია ქვეყნის მხარეების (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ჩრდილოეთი) აღმნიშვნელი სიტყვა, ეს უკანასკნელი ქართულად ითარგმნება.

მაგალითად:

آذربایجان شرقی - ɔ:zærbæjdʒɔ:nɛ ʃæŋʁi: - აღმოსავლეთი აზერბაიჯანი;

آذربایجان غربی - ɔ:zærbæjdʒɔ:nɛ ɣæŋʁi: - დასავლეთი აზერბაიჯანი.